20-24 ივლისი, 2020
1-ლი სტუდენტთა ინტერკონტინენტური სრულად თავისუფალი ონლაინ კონფერენცია:
ოფ\ონლაინ ტრანსფორმაცია - ირმის ნახტომი ჯანმრთელობის მეცნიერებების განვითარებისა და პროგრესის გზაზე მიზნისაკენ: საზოგადოების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ველნესი

13-17 ივლისი, 2020
1-ლი სტუდენტთა ინტერკონტინენტური სრულად თავისუფალი ონლაინ კონფერენციის წინა ეროვნული და საერთაშორისო ონლაინ ტრეინინგები:
საზოგადოების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ველნესი
ჯანმრთელობის მეცნიერებებში კვლევის მეთოდები და ეთიკა

კონფერენციის რეზოლუცია

24 ივლისი, 2020

08:40-09:00 PM (GMT+4)

შესავალი:

2020 წლის 20-24 ივლისს ჩატარდა 1-ლი სტუდენტთა ინტერკონტინენტური სრულად თავისუფალი ონლაინ კონფერენცია:ოფ\ონლაინ ტრანსფორმაცია - ირმის ნახტომი ჯანმრთელობის მეცნიერებების განვითარებისა და პროგრესის გზაზე მიზნისაკენ: საზოგადოების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ველნესი.
2020 წლის 13-17 ივლისს ჩატარდა 1-ლი სტუდენტთა ინტერკონტინენტური სრულად თავისუფალი ონლაინ კონფერენციის წინა ეროვნული (10 ერთ საათიანი ლექცია ქართულ ენაზე 7 ვოლონტიორი პროფესორის მიერ) და საერთაშორისო (10 ერთ საათიანი ლექცია ინგლისურ ენაზე 6 ვოლონტიორი პროფესორის მიერ) ონლაინ ტრეინინგები: საზოგადოების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ველნესი, ჯანმრთელობის მეცნიერებებში კვლევის მეთოდები და ეთიკა.

კონფერენციის პლენარულ სესიაზე მოსმენილი იქნა ტრომსოს არქტიკული უნივერსიტეტის (ნორვეგია) პროფესორ ემერიტუსის ლექცია: Planning for Better Public Health in a Municipality in Norway

14 სამეცნიერ ტრეკზე, პროგრამის მიხედვით მოსმენილი იქნა სტუდენტების: დოქტორანტების, მაგისტრანტებისა და ბაკალავრების პრეზენტაციები, რომლებიც სპიკერების მიერ ფასდებოდა როგორც ტრეკის მიმდინარეობისას, ისე დღის ბოლოს.

ამ პროცესს მონიტორინგს უწევდნენ დამსწრე სტუდენტები და პედაგოგები.

მიმართულებების მიხედვით 14 ტრეკზე მოხსენებული სამეცნიერო თემები განაწილდენ შემდეგნაირად:

1. საზოგადოებრი ჯანდაცვა და ჯანდაცვის ადმინისტრირება- 24 პრეზენტაცია
2. მედიცინა - 13 პრეზენტაცია
3. სტომატოლოგია- 11 პრეზენტაცია
4. ფარმაცია/ფარმაკოლოგია- 3 პრეზენტაცია
5. საექთნო საქმე- 1

სულ- 52 პრეზენტაცია.

24 ივლისს, ბოლო პლენარულ სესიაზე მოსმენილი იქნა 6 პროფესორისა და 3 სტუდენტის შეფასება, რომლებიც წარმოადგენდნენ შემდეგ უნივერსიტეტებს, პროფესორები:

1. საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო (3)
2. საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო (1)
3. გრ.რობაქიძის სახ. უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო (1)
4. ტრომსოს არქტიკული უნივერსიტეტი, ტრომსო, ნორვეგია (1)

და სტუდენ<u>ტების:</u>

1. საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო (2)
2. ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი, მოსკოვი, რუსეთი (1)

კონფერენციისა და ტრეინინგების მასალები დაიბეჭდება ჟურნალში: Caucasus Journal of Health Sciences and Public Health.

კონფერენციისა და ტრეინინგის მსმენელებზე, ლექტორებსა და სტუდენტ-პრეზენტატორებზე გაიცემა შესაბამისი სერტიფიკატები.

პროექტის- „ირმის ნახტომის“ შესაბამისად კონფერენციისა და ტრეინინგების ორგანიზება, მათი შედეგები- ყველას მიერ შეფასდა დადებითად.

კონფერენცია ადგენს:

1. 1-ლი სტუდენტთა ინტერკონტინენტური სრულად თავისუფალი ონლაინ კონფერენცია:ოფ\ონლაინ ტრანსფორმაცია - ირმის ნახტომი ჯანმრთელობის მეცნიერებების განვითარებისა და პროგრესის გზაზე მიზნისაკენ: საზოგადოების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ველნესი- შეფასდეს დადებითად
2. 1-ლი სტუდენტთა ინტერკონტინენტური სრულად თავისუფალი ონლაინ კონფერენციის წინა ეროვნული და საერთაშორისო ონლაინ ტრეინინგები: საზოგადოების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ველნესი, ჯანმრთელობის მეცნიერებებში კვლევის მეთოდები და ეთიკა- შეფასდეს დადებითად
3. ვინაიდან ონლაინ სასწავლო-სამეცნიერო ღონისძიებები ხელსუწყობენ ცოდნის ფართოდ გავრცელებას მსოფლიოში, რეკომენდებულ იქნას მათი ყოველწლიური ჩატარება

4. მე-2 სტუდენტთა ინტერკონტინენტური თავისუფალი ონლაინ კონფერენცია ჩატარდეს 2021 წლის 28-30 აპრილს, ხოლო სამეცნიერო მასალების მიღების ბოლო თარიღად განისაზღვროს 2021 წლის 1 თებერვალი.